სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“

შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

30 ივნისი 2023 (არააუდირებული)

სარჩევი

შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება 1

მეგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება 2

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება 3

ფულადი ნაკადების შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება 4

შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ 5
2. მომზადების საფუძველი 5
3. საოპერაციო გარემო 6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა 6
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 7
6. ძირითადი საშუალებები 8
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 9
8. საკუთარი კაპიტალი 9
9. ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები 10
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 12
11. ამონაგები ელექტროენერგიის რეალიზაციიდან 12
12. ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები 12
13. პროფესიული გასამრჯელო 12
14. სხვა საოპერაციო ხარჯები 12
15. ფინანსური ხარჯები 12
16. პირობითი ვალდებულებები 13
17. ფინანსური ინსტრუმენტები 14
18. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები 15

ფინანსური მდგომარეობის შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 30 ივნისისთვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	*30 ივნისი 2023*	*31 დეკემბერი 2022*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	240,051	252,011
აქტივის გამოყენების უფლება		1,216	1,120
სხვა გრძელვადიანი აქტივები		1,607	1,079
სულ გრძელვადიანი აქტივები		**242,874**	**254,210**
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3,267	1,678
წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		1,029	908
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	17	11,462	12,370
სხვა მიმდინარე აქტივები		2,756	2,496
სულ მიმდინარე აქტივები		**18,514**	**17,452**
სულ აქტივები		**261,388**	**271,662**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	8	232	232
დამატებით შეტანილი კაპიტალი		148,513	148,513
დაგროვილი ზარალი		(62,040)	(58,995)
სხვა რეზერვები	8	(42,166)	(41,641)
სულ საკუთარი კაპიტალი		**44,539**	**48,109**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები	9	210,797	213,201
საიჯარო ვალდებულებები		1,014	990
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		465	480
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**212,276**	**214,671**
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები	9	3,813	7,512
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	509	1,173
საიჯარო ვალდებულებები		112	112
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		139	85
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**4,573**	**8,882**
სულ ვალდებულებები		**216,849**	**223,553**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**261,388**	**271,662**

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ სახელით 2023 წლის 15 აგვისტოს

ზურაბ გორდეზიანი
გენერალური დირექტორი

ნანა მშვიდობაძე
ფინანსური დირექტორი

5-16 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

მეგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსი თვისთვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	*30 ივნისი 2023*	*30 ივნისი 2022*
ამონაგები ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	11	15,427	19,244
სულ ამონაგები და შემოსულობა		**15,427**	**19,244**
ელექტროენერგიის და გადაცემის ხარჯები		(846)	(338)
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	12	(722)	(576)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(903)	(1,159)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(198)	(190)
პროფესიული გასამრჯელო	13	(226)	(361)
ნედლეული, საწვავი და სხვა სახარჯი მასალები		(174)	(96)
ტექმომსახურების ხარჯი		(1,247)	(1,218)
სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(710)	(842)
		(5,026)	**(4,781)**
EBITDA		**10,401**	**14,463**
ფინანსური შემოსავალი		15	646
ფინანსური დანახარჯები	15	(7,451)	(11,706)
წმინდა საკურსო ზარალი		(16)	(27)
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(4,576)	(5,585)
არარეგულარული ხარჯი, წმინდა		(1,418)	(1,783)
ზარალი მოგების გადასახადის გამოქვითვამდე		**(3,045)**	**(3,992)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
პერიოდის ზარალი		**(3,045)**	**(3,992)**
სხვა სრული ზარალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება			
წარსადგენ ვალუტად კონვერტაციიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობები		(525)	(888)
წმინდა სხვა სრული ზარალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება		**(525)**	**(888)**
პერიოდის მთლიანი სხვა სრული ზარალი		**(525)**	**(888)**
პერიოდის მთლიანი სრული ზარალი		**(3,570)**	**(4,880)**

5-16 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსი თვისთვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	სააქციო კაპიტალი	*შერწყმის რეზერვი*	*დამატებით შეტანილი კაპიტალი*	*სხვა რეზერვები*	*დაგროვილი ზარალი*	*სულ საკუთარი კაპიტალი*
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**-**	**84,664**	**-**	**18,305**	**(60,135)**	**42,834**
წლის მოგება	-	-	-	-	1,140	**1,140**
სხვა სრული ზარალი	-	-	-	(5,192)	-	**(5,192)**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**(5,192)**	**1,140**	**(4,052)**
კომპანიის რეგისტრაცია (შენიშვნა 8)	100	(84,664)	-	84,664	-	**100**
ენერგეტიკული შვილობილი საწარმოების შენატანი (შენიშვნა 8)	100	-	226,165	(226,265)	-	**-**
სააქციო კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 8)	(68)	-	(104,921)	86,847	-	**(18,142)**
სააქციო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა 8)	100	-	27,269	-	-	**27,369**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**232**	**-**	**148,513**	**(41,641)**	**(58,995)**	**48,109**
პერიოდის ზარალი	-	-	-	-	(3,045)	**(3,045)**
სხვა სრული ზარალი	-	-	-	(525)	-	**(525)**
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**(525)**	**(3,045)**	**(3,570)**
განაწილებები მეწილეებთან (შენიშვნა 8)	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	**232**	**-**	**148,513**	**(42,166)**	**(62,040)**	**44,539**

5-16 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ფულადი ნაკადების შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსი თვისთვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	*30 ივნისი 2023*	*30 ივნისი 2022*
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ზარალი დაბეგვრამდე		**(3,045)**	**(3,992)**
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6	4,576	5,585
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი		16	27
ფინანსური შემოსავალი		(15)	(646)
ფინანსური დანახარჯები	15	7,451	11,706
არარეგულარული ხარჯი, წმინდა		1,418	1,783
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება			
ცვლილება მარაგებში		175	(74)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,589)	(840)
ცვლილება ავანსად გადახდილ გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა		(121)	(1,464)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(1,124)	(473)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(664)	157
ცვლილება სხვა საგადასახადო ვალდებულებებში		-	307
საოპერაციო ფულადი ნაკადები სავაჭრო ფასიან ქაღალდებში ინვესტირებამდე		**7,078**	**12,076**
წმინდა ინვესტიცია სავაჭრო ფასიან ქაღალდებში		-	(3,064)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**7,078**	**9,012**
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(987)	(1,285)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	2,456
შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელო		-	(1,306)
დაფარული სესხები (გაცემული)		-	(7,883)
მიღებული პროცენტი		60	542
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(927)**	**(7,476)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების ძირითადი თანხის გადახდა		-	(174)
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან და გამოშვებული ობლიგაციებიდან	9	314	-
ნასესხები სახსრების და გამოშვებული ობლიგაციების დაფარვა	9	-	(6,889)
გადახდილი პროცენტი	9	(7,088)	(11,521)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(6,774)**	**(18,584)**
ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი		(285)	(977)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ცვლილება		**(908)**	**(18,025)**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	17	12,370	36,948
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	17	**11,462**	**18,923**

5-16 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ (შემდგომში „GRPO“ ან „კომპანია“) არის 2022 წლის 28 ივნისს დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. კომპანია არის კომპანიების ჯგუფის ჰოლდინგური საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია და მდებარეობს საქართველოში (შემდგომში „ჯგუფი“). კომპანიის იურიდიული მისამართია მედეა (მზია) ჯუღელის ქ. #10, 0179, თბილისი, საქართველო. კომპანია უფრო დიდი ჯგუფის სს „საქართველოს კაპიტალის“ (შემდგომში „GCAP“) ნაწილია, რომელიც საქართველოში დაფუძნებული საინვესტიციო საწარმოა და ფლობს ინვესტიციებს სხვადასხვა შვილობილ საწარმოში საქართველოში.

ჯგუფის ბიზნესი წარმოადგენს ჰიდროელექტრო სადგურების და ქარის ელექტროსადგურის სამუშაო პლატფორმას ქვეყანაში. ბიზნესი ამუშავებს ექსპლუატაციაში შესულ განახლებად აქტივებს 71 მგვტ დადგმული სიმძლავრით, მთლიანობაში: 30 მგვტ-იანი ჰიდროელექტრო სადგური მესტიაჭალა 2, 20 მგვტ-იანი ჰიდროლეას ჰიდროელექტროსადგურები და 21 მგვტ-იანი ქართლის ქარის ელექტროსადგური.

2023 წლის 30 ივნისის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-ის მფლობელია სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი“ (შემდგომში „GRPH“ ან „მშობელი საწარმო“), რომლის 100%-ის მფლობელია „GCAP“. „GCAP“-ის 100%-ის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „Georgia Capital“ (შემდგომში „საბოლოო მშობელი საწარმო“), ინგლისში რეგისტრირებული და ლონდონის საფონდო ბირჟაზე აღრიცხული იურიდიული პირი.

2022 წლის ოქტომბერში სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციებმა“ დაასრულა საქართველოს სააქციო ბირჟაზე რეგისტრირებული 80 მილიონი აშშ დოლარის უზრუნველყოფილი მწვანე ობლიგაციების გამოშვება.

2. მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობაზე

წინამდებარე შუალედური კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია 2023 წლის 6 თვისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) 34 შუალედური ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებს საფუძველზე, გარდა სავაჭრო ფინანსური აქტივებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება მოგებაში ან ზარალში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ჯგუფმა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა იმ საფუძველზე, რომ ის განაგრძობს მუშაობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

კონსოლიდაციის საფუძველი და შესადარისი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებს 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია წინა პერიოდის კონსოლიდირებული ინფორმაცია, რომელიც მომზადდა კომბინირებული საწარმოების ფინანსური ანგარიშგებიდან, იმ დაშვებით, რომ სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ დაფუძნდა და ჯგუფის ფორმირება დასრულდა 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

ინფორმაცია შვილობილი საწარმოების შესახებ

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ საწარმოებს:

	რეგისტრაციის ქვეყანა	*შეძენის/დაფუძნების თარიღი*	*30 ივნისი 2023*	*31 დეკემბერი 2022*
სს „სვანეთ ჰიდრო“	საქართველო	20 აპრილი 2017	100%	100%
შპს „ჰიდროლეა“	საქართველო	28 ოქტომბერი 2019	100%	100%
შპს „გეოენერჯი“	საქართველო	28 ოქტომბერი2019	100%	100%
შპს „ჰიდრო ჯორჯია“	საქართველო	28 ოქტომბერი2019	100%	100%
შპს „კასლეთი 2“	საქართველო	28 ოქტომბერი2019	100%	100%
შპს „დარჩი“	საქართველო	28 ოქტომბერი2019	100%	100%
შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“	საქართველო	31 დეკემბერი 2019	100%	100%
შპს „ჯიარპისი თრეიდი“	საქართველო	13 მაისი 2022	100%	100%

3. საოპერაციო გარემო

ჯგუფის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. რადგანაც ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არა აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, მათ შორის რისკს, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები, და სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორის არის ახალი კანონმდებლობის მიღება, ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესის წარმოების რისკებს საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე, თუკი ისინი ჯგუფს მიესადაგება.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

რამდენიმე ცვლილება და ინტერპრეტაცია გამოიყენება პირველად 2023 წელს, მაგრამ არ აქვს გავლენა ჯგუფის შემოკლებულ შუალედურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე – ცვლილებები ფასს 3-ში
- ძირითადი საშუალებები: შემოსავლები გამოყენებამდე – ცვლილებები ბასს 16-ში
- კონტრაქტები – ხელშეკრულების შესრულების ხარჯები – ცვლილებები ბასს 37-ში
- IFRS 1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად მიღება - შვილობილი კომპანია, როგორც პირველად მიმღები
- IFRS 9 ფინანსური ინსტრუმენტები – საკომისიოები „10 პროცენტი“ ტესტი ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმებისთვის.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი მიმართავს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მნიშვნელოვან მსჯელობასთან ერთად, რომელიც კეთდება წინამდებარე კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებების მომზადების შესაბამის საფუძველზე, მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი აქვთ კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი კორექტირების გამოწვევა აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების გაუფასურება

2023 წლის 30 ივნისის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა ჩაატარა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ან აღდგენის ინდიკატორების ანალიზი. ხელმძღვანელობას არ აღმოუჩენია ძირითადი საშუალებების გაუფასურების ან ადრე აღიარებული გაუფასურების აღდგენის ინდიკატორები, გარდა ფიზიკური დაზიანებით ან ზარალის მოვლენით გამოწვეული გაუფასურებისა. ფიზიკური დაზიანების ან აქტივების განადგურების შედეგად მიღებული ნებისმიერი გაუფასურების შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს ამგვარი დაზიანების მასშტაბს თითოეული ინდივიდუალური ერთეულისთვის და ჩამოწერს ძირითადი საშუალებების ისეთ ერთეულს, რომელიც უსარგებლოა. ამგვარი შეფასება მოითხოვს მსჯელობას იმის განსაზღვრაში, შესაძლებელია თუ არა აქტივების გამოყენება.

ანაზღაურებადი აქტივების შეფასება

საჭიროა მნიშვნელოვანი განსჯა, რათა შეფასდეს, არის თუ არა ზარალის შემთხვევისთვის სადაზღვევო ანაზღაურება პრაქტიკულად შესაძლებელი, სწორად არის თუ არა სადაზღვევო ანაზღაურება აღიარებული და არის თუ არა ანგარიშგების თარიღისთვის მისაღები სადაზღვევო მოთხოვნის შეფასება სწორად დათვლილი.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დაშვებებზე, რომლებიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების დაკორექტირება.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

6. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	*შენობები*	*ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის აქტივები*	*სატრანსპორტო საშუალებები*	*ინვენტარი და აღჭურვილობა*	*დაუმთავრებელი მშენებლობა*	*სულ*
პირვანდელი ღირებულება							
31 დეკემბერი 2021	**1,255**	**74,974**	**281,738**	**822**	**1,381**	**4,441**	**364,611**
შესყიდვები	-	47	190	119	49	2,122	**2,527**
გასვლები	-	-	(38,963)	(25)	(207)	(29)	**(39,224)**
საკურსო სხვაობები	(160)	(9,575)	(38,040)	(114)	(177)	(740)	**(43,806)**
31 დეკემბერი 2022	**1,095**	**65,446**	**209,925**	**802**	**1,046**	**5,794**	**284,108**
შესყიდვები	-	-	-	20	-	119	**139**
ჩამოწერები	-		(141)	-	(26)	-	**(167)**
საკურსო სხვაობები	(37)	(2,210)	(7,087)	(27)	(35)	(196)	**(9,592)**
30 ივნისი 2023	**1,058**	**63,236**	**202,697**	**795**	**985**	**5,717**	**274,488**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2021	**-**	**5,828**	**57,986**	**67**	**133**	**-**	**64,014**
ცვეთის ხარჯი	-	2,196	8,253	24	40	-	**10,513**
გასვლები	-	-	(36,305)	-	-	-	**(36,305)**
საკურსო სხვაობები	-	(903)	(5,192)	(10)	(20)	-	**(6,125)**
31 დეკემბერი 2022	**-**	**7,121**	**24,742**	**81**	**153**	**-**	**32,097**
ცვეთის ხარჯი	-	1,066	3,368	53	89	-	**4,576**
საკურსო სხვაობები	-	(496)	(1,723)	(6)	(11)		**(2,236)**
30 ივნისი 2023	**-**	**7,691**	**26,387**	**128**	**231**	**-**	**34,437**
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2022	**1,095**	**58,325**	**185,183**	**721**	**893**	**5,794**	**252,011**
30 ივნისი 2023	**1,058**	**55,545**	**176,310**	**667**	**754**	**5,717**	**240,051**

2023 წლის 30 ივნისის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს დაგირავებული ჰქონდა მისი ყველა ძირითადი საშუალებები გამოშვებული ობლიგაციების უზრუნველყოფის სახით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	30 ივნისი 2023	*31 დეკემბერი 2022*
მიმდინარე		
სავაჭრო მოთხოვნები ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	3,267	1,678
სულ რესტრუქტურიზებული სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	**3,267**	**1,678**

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება 3,267 ლარს უდრის (2022 წლის 31 დეკემბერს: 1,678). საბალანსო ღირებულება სამართლიან ღირებულებას იყო მიახლოებული მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადის გამო. ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მიმდინარეა და უკავშირდება შემოსავალს ელექტრონერგიის რეალიზაციიდან.

8. საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი და შერწყმის რეზერვი

2023 წლის 30 ივნისის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააქციო კაპიტალმა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეადგინა 232 ლარი. სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ დაფუძნებამდე კონკრეტული კაპიტალის მოძრაობა აღრიცხულია შერწყმის რეზერვის ფარგლებში. სააქციო კაპიტალის მოძრაობა შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი:

	შერწყმის რეზერვი	*სააქციო კაპიტალი*
31 დეკემბერი 2021	**84,664**	
სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ დაფუძნება	(84,664)	100
ცვლილებები სააქციო კაპიტალში	-	132
31 დეკემბერი 2022	**-**	**232**
ცვლილებები სააქციო კაპიტალში	-	-
30 ივნისი 2023	**-**	**232**

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

2023 წლის 30 ივნისის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ავტორიზებული სააქციო კაპიტალი შედგებოდა 200,000,000 ჩვეულებრივი აქციისგან. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი. 2023 წლის 30 ივნისის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის გამოშვებული სააქციო კაპიტალი შედგებოდა 232,000 ჩვეულებრივი აქციისგან. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი.

დივიდენდები

2023 წლის პირველ ნახევარში და 2022 წელს დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

სხვა რეზერვები

სხვა რეზერვები მოიცავს არარეალიზებულ შემოსულობებს/(ზარალს) არსებულ შვილობილ კომპანიებში არამაკონტროლებელი წილის მფლობელებთან გარიგებებიდან და ვალუტის საკურსო სხვაობის რეზერვს. მოძრაობა სხვა რეზერვებში 2023 წლის 30 ივნისს დასრულებული ექვსი თვისთვის და 2022 წელს დიდწილად ეხება ვალუტის საკურსო სხვაობის რეზერვთან დაკავშირებულ წლის სხვა სრულ (ზარალს)/შემოსავალს.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფის მიზნებია:

- უზრუნველყოს ჯგუფის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რომ მან გააგრძელოს მფლობელებისთვის უკუგების, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა;
- შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ ჯგუფის საქმიანობა ხარჯთეფექტური იყოს.

ამ მიზნების მისაღწევად ჯგუფი დეტალურად აანალიზებს კაპიტალის სტრუქტურას, ნასესხები სახსრების ღირებულებისა და საკუთარი კაპიტალის არსებული დონის გათვალისწინებით. კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, ჯგუფი კაპიტალს განსაზღვრავს კაპიტალის მართვის მიზნებისთვის როგორც კაპიტალს, ნასესხებ სახსრებს და გამოშვებულ ობლიგაციებს. 2023 წლის 30 ივნისის დასრულებულ ექვს თვეში და 2022 წელს კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა თუ პროცესებში ცვლილებები არ შესულა.

9. ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები

	30 ივნისი 2023		*31 დეკემბერი 2022*	
	მიმდინარე ვალდებულებები	*გრძელვადიანი ვალდებულებები*	*მიმდინარე ვალდებულებები*	*გრძელვადიანი ვალდებულებები*
გამოშვებული მწვანე ობლიგაციები	3,213	206,929	3,363	213,201
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	600	3,868	4,149	-
სულ ნასესხები სახსრები	**3,813**	**210,797**	**7,512**	**213,201**

2022 წლის 12 ოქტომბერს სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციებმა“ გამოუშვა 80 მილიონი აშშ დოლარის მწვანე ობლიგაციები. ობლიგაციები აშშ დოლარშია გამოხატული 5−წლიანი გამოუხმობი 2−წლიანი დაფარვის ვადით და 7,00%−იანი კუპონური განაკვეთით. მწვანე ობლიგაციები საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგშია რეგისტრირებული. ობლიგაციების გამოშვება და გაყიდვა ხდება ნომინალური ღირებულებით. მწვანე ობლიგაციები უზრუნველყოფილია ჯგუფის ყველა ქონებით. ობლიგაციების შემოსულობა სრულად არის გამოყენებული „GCAP“−სგან აქციონერული სესხის რეფინანსირებისთვის 90 მილიონი აშშ დოლარის (261,324 ლარი) ოდენობით, რომელიც გაიცა 2022 წელს.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

აქციონერული სესხის ნაწილი „GCAP“–სგან 10 მილიონი აშშ დოლარის (27,369 ლარი) ოდენობით კონვერტირდება სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ სააქციო კაპიტალად 2022 წლის 29 ნოემბერს სესხების კაპიტალში გარდაქმნის გარიგებაში.

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ჯგუფის ნასესხები სახსრები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოდან, დარჩის ჰიდროელექტროსადგურის პროექტთან დაკავშირებით, აშშ დოლარშია გამოხატული 10% ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით და საშუალო დაფარვის 2–წლიანი ვადით (30 ივნისი 2022: ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი 10% და საშუალო დაფარვის ვადა 1 წელი). 2023 წლის ექვსი თვის განმავლობაში, ჯგუფმა საკრედიტო ლიმიტიდან დამატებით გაიტანა 314 ლარი (120 ათასი აშშ დოლარი). 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ჯგუფს აქვს 530 ლარის (202 ათასი აშშ დოლარი) გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები. ჯგუფმა გამოიხმო დამატებით 1,572 ლარი (547 ათასი აშშ დოლარი) საკრედიტო ლიმიტიდან 2022 წელს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა გამოიყენა სასესხო ვალდებულება 1,351 ლარი (501 ათასი აშშ დოლარი). სესხი დარჩის ჰიდროელექტრო სადგურის პროექტის განვითარებას უკავშირდება.

2023 წლის ექვს თვეში ჯგუფმა გასწია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები 7,562 ლარის ოდენობით, საიდანაც 232 ლარი კაპიტალიზებულია ძირითად საშუალებებში.

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	ნასესხები სახსრები	*გამოშვებული ევრო ობლიგაციები*	*აქციონერის სესხი*	*გამოშვებული მწვანე ობლიგაციები*	*საიჯარო ვალდებულებები*	*სულ*
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2021	**2,704**	**304,624**	**-**	**-**	**1,309**	**308,627**
უცხოურ ვალუტაში გადაყვანა	(439)	(19,204)	(11,307)	(7,152)	(144)	(38,246)
ფულადი შემოსულობა	1,572	-	261,324	220,305	-	483,201
გადახდები ნაღდი ფორმით	-	(277,372)	(223,072)	-	(63)	(500,507)
დარიცხული პროცენტი	312	15,655	2,407	3,411	169	21,954
გადახდილი პროცენტი	-	(23,703)	(1,983)	-	(169)	(25,855)
სესხების საკუთარ კაპიტალში გარდაქმნა (შენიშვნა 8)	-	-	(27,369)	-	-	(27,369)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2022	**4,149**	**-**	**-**	**216,564**	**1,102**	**221,815**
უცხოურ ვალუტაში გადაყვანა	(227)	-	-	(6,664)	34	(6,857)
გადახდები ნაღდი ფორმით	314	-	-	-	-	314
დარიცხული პროცენტი	-	-	-	-	(10)	(10)
გადახდილი პროცენტი	232	-	-	7,330	82	7,644
სხვა	-	-	-	(7,088)	(82)	(7,170)
საბალანსო ღირებულება 30 ივნისი 2023	**4,468**	**-**	**-**	**210,142**	**1,126**	**215,736**

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	30 ივნისი 2023	*31 დეკემბერი 2022*
სავაჭრო ვალდებულებები	509	1,173
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**509**	**1,173**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის უპროცენტო და, ჩვეულებრივ, 60 დღიან ვადაში იფარება.

11. ამონაგები ელექტროენერგიის რეალიზაციიდან

	30 ივნისი 2023	*30 ივნისი 2022*
ამონაგები ელექტროენერგიის სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორზე“ რეალიზაციიდან	9,704	11,397
ამონაგები იურიდიულ პირებზე ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	5,723	7,847
სულ ამონაგები ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	**15,427**	**19,244**

12. ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები

	30 ივნისი 2023	*30 ივნისი 2022*
ხელფასები	653	570
ბონუსები	69	6
სულ ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	**722**	**576**

13. პროფესიული გასამრჯელო

	30 ივნისი 2023	*30 ივნისი 2022*
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	83	274
იურიდიული და სხვა პროფესიული გასამრჯელოები	143	87
სულ პროფესიული გასამრჯელო	**226**	**361**

14. სხვა საოპერაციო ხარჯები

	30 ივნისი 2023	*30 ივნისი 2022*
სადაზღვევო ხარჯი	464	641
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	44	102
საქველმოქმედო ხარჯები	41	10
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული საიჯარო ხარჯები	14	82
სხვა ხარჯები, წმინდა	147	8
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**710**	**843**

15. ფინანსური ხარჯები

	30 ივნისი 2023	*30 ივნისი 2022*
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე და გამოშვებულ ობლიგაციებზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით შეფასებული	7,367	11,613
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	82	90
საბანკო მომსახურების ღირებულება და საკომისიო	2	3
სულ ფინანსური ხარჯები	**7,451**	**11,706**

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

16. პირობითი ვალდებულებები

ვალდებულებები

2022 წლის 30 ივნისის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის კონკრეტულ საწარმოებს ჰქონდათ აქტიური ხელშეკრულებები „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორთან“ ამ საწარმოების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის გარანტირებულ შესყიდვაზე, რვიდან თხუთმეტ წლამდე პერიოდისთვის. ხელშეკრულების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან წარმოებული ელექტროენერგია მიჰყიდონ „ესკოს“ ზამთრის თვეებში (სექტემბრიდან- აპრილამდე), გარდა შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურისა“, რომელსაც სხვა ვალდებულებებთან ერთად აქვს „ესკოსთვის“ ელექტროენერგიის მთელი წლის განმავლობაში მიყიდვის შესაძლებლობა. ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულების ამოწურვის ვადების შემდეგია:

- ჰიდროელექტრო სადგური „მესტიაჭალა 2“ – 2034 წლის აპრილი
- ჰიდროელექტრო სადგური „კასლეთი 2“ – 2028 წლის სექტემბერი
- „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ - 2030 წლის იანვარი
- ჰიდროელექტრო სადგური „ჰიდრო ჯორჯია“ - 2023 წლის დეკემბერი

გარანტირებული ფასები 1 კვტ/სთ-ზე 5,5 აშშ ცენტიდან 6,5 ცენტამდე აშშ მერყეობს.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ვალდებულებები არ აქვს. ჯგუფს არ აქვს ექსპლუატაციიდან ამოღების, აღდგენის ან მსგავსი ვალდებულებები.

გადასახადები

საქართველოში საგადასახადო დეკლარაციები ღია რჩება შემოწმებისთვის სამ წლამდე ვადის განმავლობაში. თუ შემოწმებით დაფიქსირდება საგადასახადო ვალდებულების მცირე რაოდენობით წარმოჩენა, გადასახდელი ჯარიმები და საურავები შესაძლოა არსებითი მნიშვნელობის იყოს საგადასახადო ვალდებულებების არაზუსტად წარმოდგენასთან დაკავშირებით. ჯგუფის ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ შემოწმების შედეგებს არსებითი გავლენა ექნება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაზე ან მისი ოპერაციების შედეგებზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის გადახდილი და დარიცხული აქვს ყველა სათანადო გადასახადი.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

17. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში

2023 წლის 30 ივნისის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს საქართველოს ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს. ნაღდი ფულის ყველა ნაშთი ბანკში მიმდინარეა და არ არის გაუფასურებული.

სავაჭრო მოთხოვნები

2023 წლის 30 ივნისის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნები წარმოდგენილია მოკლევადიანი მოთხოვნებით ელექტროენერგიის რეალიზაციიდან, „ესკოს“ და ქართული კორპორაციული მომხმარებლების მიმართ. ყველა სავაჭრო მოთხოვნა კლასიფიცირდება მიმდინარედ და არა გაუფასურებულად.

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, ჯგუფი გასწევს საპროცენტო, სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკებს. ჯგუფი არ ფლობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს, ამიტომ ის არ გასწევს საპროცენტო განაკვეთის რისკს. ჯგუფის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით კონტრაჰენტებთან ან კონტრაჰენტების ჯგუფთან მიმართებით. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

2023 წლის 30 ივნისის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

- ფული და ფულის ეკვივალენტები: 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 11,462 ლარის ფული და ფულის ეკვივალენტები (31 დეკემბერი 2022: 12,370 ლარი) განთავსებული იყო ქართულ ბანკებში, რომლებსაც „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვს „BB-/bb-“ შეფასებები;
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 7).

ფულის და ფულის ეკვივალენტების და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთები კლასიფიცირებულია მიმდინარედ და ისინი გაუფასურებული არ არის. აღნიშნული ფინანსური აქტივების მოკლევადიანი (ფულთან და ფულის ეკვივალენტებთან მიმართებით) და ლიკვიდური ბუნებიდან გამომდინარე, ჯგუფმა შეაფასა და არაარსებითად მიიჩნია შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ამიტომ, ფულის და ფულის ეკვივალენტების და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ფასს (IFRS) 9-ის შესაბამისად გაუფასურება აღიარებული არ არის. ყველა ფინანსური აქტივის საკრედიტო ხარისხი, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული, სათანადოა და ხდება მათი მუდმივი მონიტორინგი საკრედიტო ხარისხში შესაძლო უარყოფითი ცვლილებების დროულად გამოსავლენად. არ არსებობს ისეთი ფინანსური აქტივები, რომელთა პირობები რესტრუქტურიზებულია და რომლებიც სხვა შემთხვევაში, აღნიშნული რესტრუქტურიზაციის გარეშე, ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული იქნებოდა. ჯგუფს არ აქვს შიდა საკრედიტო რეიტინგის განსაზღვრის სისტემა მისი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის საკრედიტო რეიტინგის შეფასებისთვის.

2023 წლის 30 ივნისის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება ყველაზე კარგად ასახავს მათთვის დამახასიათებელ მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

18. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები “ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს ან ერთობლივად გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთ არის განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	30 ივნისი 2023	*31 დეკემბერი 2022*
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	*საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები*
აქტივები		
ანაზღაურებადი აქტივები	1,804	2,022
ნასესხები სახსრები 1 იანვრის მდგომარეობით	**4,149**	**2,704**
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან, წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტიდან და უცხოური ვალუტაში გადაყვანიდან	319	1,445
ნასესხები სახსრები პერიოდის ბოლოს	**4,468**	**4,149**

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ შეადგინა:

	30 ივნისი 2023	*30 ივნისი 2022*
ხელფასი და დასაქმებულთა სხვა მოკლევადიანი გასამრჯელოები	70	55
ფულადი ბონუსი	35	22

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“

შუალედური მმართველობითი ანგარიშგება დასრულებული ექვსი თვისთვის

30 ივნისი 2023

სარჩევი

შუალედური მმართველობითი ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ 3
2. საოპერაციო გარემო 3
3. ბიზნესის მიმოხილვა 4
4. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები 4
5. მმართველი ორგანო და მენეჯმენტი 6
6. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი 7
7. არაფინანსური მაჩვენებლები 8
8. ძირითადი რისკები და მათი მართვის მექანიზმები 8
9. კორპორატიული და სოციალური პასუხისმგებლობა 10
10. ადამიანის უფლებების დაცვა 11
11. კორუფცია 11
12. პერსონალის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება 11
13. ზრუნვა თანამშრომლების უსაფრთხოებაზე 11
14. სტრატეგიები და სამომავლო განვითარება 12

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ (შემდგომში „GRPO“ ან „კომპანია“) არის 2022 წლის 28 ივნისს დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. კომპანია არის კომპანიების ჯგუფის ჰოლდინგური საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია და მდებარეობს საქართველოში (შემდგომში „ჯგუფი“). კომპანიის იურიდიული მისამართია მედეა (მზია) ჯუღელის ქ. #10, 0179, თბილისი, საქართველო. კომპანია უფრო დიდი ჯგუფის სს „საქართველოს კაპიტალის“ (შემდგომში „GCAP“) ნაწილია, რომელიც საქართველოში დაფუძნებული საინვესტიციო საწარმოა, რომელიც ინვესტიციებს ფლობს სხვადასხვა შვილობილ საწარმოში საქართველოში.

ჯგუფის ბიზნესი წარმოადგენს ჰიდროელექტრო სადგურების და ქარის ელექტროსადგურის სამუშაო პლატფორმას ქვეყანაში. ბიზნესი ამუშავებს ექსპლუატაციაში შესულ განახლებად აქტივებს 71 მგვტ დადგმული სიმძლავრით, მთლიანობაში: 30 მგვტ-იანი ჰიდროელექტრო სადგური მესტიაჭალა 2, 20 მგვტ-იანი ჰიდროლეას ჰიდროელექტროსადგურები და 21 მგვტ-იანი ქართლის ქარის ელექტროსადგური.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-ის მფლობელია სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი“ (შემდგომში „GRPH“ ან „მშობელი საწარმო“), რომლის 100%-ის მფლობელია „GCAP“. „GCAP“-ის 100%-ის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „Georgia Capital“ (შემდგომში „საბოლოო მშობელი საწარმო“), ინგლისში რეგისტრირებული და ლონდონის საფონდო ბირჟაზე აღრიცხული იურიდიული პირი.

2023 წლის 30 ივნისის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფში შემავალი შვილობილი კომპანიები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	რეგისტრაციის ქვეყანა	*შეძენის/დაფუძნების თარიღი*	*30 ივნისი 2023*	*31 დეკემბერი 2022*
სს „სვანეთ ჰიდრო“	საქართველო	20 აპრილი 2017	100%	100%
შპს „ჰიდროლეა“	საქართველო	28 ოქტომბერი 2019	100%	100%
შპს „გეოენერჯი“	საქართველო	28 ოქტომბერი2019	100%	100%
შპს „ჰიდრო ჯორჯია“	საქართველო	28 ოქტომბერი2019	100%	100%
შპს „კასლეთი 2“	საქართველო	28 ოქტომბერი2019	100%	100%
შპს „დარჩი“	საქართველო	28 ოქტომბერი2019	100%	100%
შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“	საქართველო	31 დეკემბერი 2019	100%	100%
შპს „ჯიარპისი თრეიდი“	საქართველო	13 მაისი 2022	100%	100%

2. საოპერაციო გარემო

ჯგუფის ბიზნესი კონცენტრირებულია საქართველოში. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველოს არ გააჩნია კარგად განვითარებული ბიზნესი და მარეგულირებელი ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად იარსებებს უფრო მომწიფებულ საბაზრო ეკონომიკაში. საქართველოში ოპერაციები შეიძლება მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, როგორც წესი, არ ასოცირდება განვითარებულ ბაზრებთან არსებულ რისკებთან, მათ შორის რისკი იმისა რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის გარეთ, არსებობს სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, სავალო და წილობრივი ინსტრუმენტების ბაზარი არ არის კარგად განვითარებული. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ განახორციელა მთელი რიგი ცვლილებები რომლებიც დადებითად აისახება ქვეყნის მთლიან საინვესტიციო კლიმატზე, კონკრეტულად ახორციელებს რეფორმებს, რომლებიც აუცილებელია საბანკო, სასამართლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების შესაქმნელად. ეს მოიცავს ახალი კანონმდებლობის მიღებას, მათ შორის ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. მენეჯმენტის აზრით, ეს ნაბიჯები ხელს უწყობს საქართველოში ბიზნესის წარმოების რისკების შემცირებას.

არსებული ტენდენცია, რომელიც მიმართულია ბიზნეს გარემოს საერთო გაუმჯობესებაზე, სავარაუდოდ შენარჩუნდება. საქართველოს ეკონომიკის სამომავლო სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და განვითარებულ მოვლენებზე, მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ზომების ეფექტურობაზე. თუმცა, საქართველოს ეკონომიკა დაუცველია განვითარებულ ქვეყნებში ბაზრის ვარდნისა და ეკონომიკური შენელების მიმართ.

3. ბიზნესის მიმოხილვა

ჯგუფის ბიზნესი წარმოადგენს ჰიდროელექტრო სადგურების და ქარის ელექტროსადგურის სამუშაო პლატფორმას ქვეყანაში. ბიზნესი ამუშავებს ექსპლუატაციაში შესულ განახლებად აქტივებს 71 მგვტ დადგმული სიმძლავრით, მთლიანობაში: 30 მგვტ–იანი ჰიდროელექტრო სადგური მესტიაჭალა 2, 20 მგვტ–იანი ჰიდროლეას ჰიდროელექტროსადგურები და 21 მგვტ–იანი ქართლის ქარის ელექტროსადგური. ჰესი „მესტიაჭალა 2“ სს „საქართველოს კაპიტალის“ მიერ აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა 2019 წელს, ხოლო დანარჩენი ორი აქტივი კომპანიამ ამავე წელს შეიძინა. ყველა ელექტროსადგური (გარდა ახმეტჰესისა, რომლის ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებასაც („PPA“) ვადა გაუვიდა) სარგებლობს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან ჩამოყალიბებული გრძელვადიანი ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებით, რაც იწვევს დოლართან დაკავშირებულ ფულადი სახსრების პროგნოზირებად ნაკადებს, რადგან ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები ფიქსირდება აშშ დოლარში.

4. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები

სს „GRPO“-ს შემოსავლის ძირითად წყაროს ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია წარმოადგენს. აშშ დოლარის თვალსაზრისით, შემოსავალი 2023 წლის პირველ ნახევარში შემცირდა 6.9%-ით. ლარში შემოსავალი 2023 წლის პირველ ნახევარში შემცირდა 20.1%-ით, რაც ასახავ დოლარის მიმართ ეროვნული ვალუტის დაახ. 17.6%-ით გამყარებას. 2023 წლის პირველ ნახევარში ჯგუფის ელექტროსადგურების გამომუშავებამ მიაღწია 105,799 მგვტ.სთ-ს, 13.6%-ით შემცირება, რაც გამოწვეულია „ჰიდროლეას“ ერთ-ერთი ჰიდროელექტროსადგურის მუშაობის დროებითი შეჩერებით დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების გამო (სამუშაოები დასრულდა 2023 წლის ივნისში და ოპერაციები განახლდა ჩვეულ რეჟიმში). 2023 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერგიის გასაყიდი ფასი გაიზარდა 8.2%-ით და მიაღწია 5.62 აშშ ცენტს კვტ.სთ-ზე. ელექტროენერგიის გაყიდვების დაახლოებით 62.9% მოდის ელექტროენერგიის შესყიდვის გრძელვადიანი ხელშეკრულებებზე (2022 წლის პირველ ნახევარში: 58.5%).

გენერაცია 2023 და 2022 წლების პირველ ნახევარში მოცემულია ქვემოთ:

	2023 წლის პირველი ნახევარი	**2022 წლის პირველი ნახევარი**
30მვ მესტიაჭალის ჰიდროელექტრო სადგური		
PPA	*4,390*	*5,659*
არა-PPA	*31,201*	*29,730*
	35,591	**35,389**
21მვ ქართლის ქარის ელექტროსადგური		
PPA	*42,707*	*39,586*
არა-PPA	-	-
	42,707	**39,586**
20მვ ჰიდროლეას ჰიდროელექტრო სადგურები		
PPA	*12,877*	*15,442*
არა-PPA	*14,624*	*32,081*
	27,501	**47,523**
სულ ნახევარი წლის განმავლობაში	**105,799**	**122,498**

2023 წლის პირველ ნახევარში ჯგუფის მიერ გაწეული საოპერაციო ხარჯები გაიზარდა 5.1%-ით (5,026 ათას ლარამდე) ძირითადად ელექტროენერგიის და გადაცემის ხარჯების გამო რომელიც გაიწია თურქეთის რესპუბლიკაში ელექტროენერგიის ექსპორტისთვის. EBITDA 2023 წლის პირველ ნახევარში შემცირდა 28%-ით (შეადგენს 10,401 ათას ლარს), რომელიც ძირითადად გამოწვეულია შპს „გეოენერჯის" მუშაობის დროებითი შეჩერებით 2023 წლის პირველ ნახევარში, სარემონტო სამუშაოების გამო.

ობლიგაციების გამოშვება

2022 წლის ოქტომბერში GRPO-მ დაასრულა საქართველოს სააქციო ბირჟაზე რეგისტრირებული 80 მილიონი აშშ დოლარის უზრუნველყოფილი მწვანე ობლიგაციების გამოშვება და გასცა კომპანიათაშორისი სესხები შვილობილი კომპანიებისთვის.

კომპანია იხდის ობლიგაციების კუპონს წელიწადში ორჯერ, ზემოხსენებული კომპანიათაშორისი სესხების პროცენტიდან შემოსულობით. GRPO-ს ფულადი სახსრების შემოდინების ძირითადი წყარო არის მოქმედი შვილობილი კომპანიების ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია.

5. მმართველი ორგანო და მენეჯმენტი

მეწარმეთა შესახებ კანონის და წესდების თანახმად, აქციონერები უფლებამოსილი არიან მიიღონ გადაწყვეტილებები სხვა საკითხებთან ერთად, აქციონერთა საერთო კრებაზე (“GMS”) შემდეგ საკითხებზე:

- ემიტენტის სააქციო კაპიტალის შეცვლა;
- წესდებაში ცვლილებების დამტკიცება;
- ემიტენტის ლიკვიდაცია;
- ემიტენტის ნებისმიერი შერწყმა, დაყოფა ან სხვა იურიდიულ პირად გადაქცევა;
- წინასწარი ან ნაწილობრივი გაუქმება წინასწარი - დაცვითი უფლებების შესახებ სააქციო კაპიტალის გაზრდის დროს;
- სამეთვალყურეო საბჭოს და/ან გენერალური დირექტორის მიერ წინადადებების დამტკიცება მოგების გადანაწილებასთან დაკავშირებით;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და თანამდებობიდან განთავისუფლება და მისი წევრების უფლებამოსილების ვადის განსაზღვრა;
- სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალური დირექტორის მოხსენებების დამტკიცება;
- შეძენა, გაყიდვა, გადაცემა, გაცვლა (თუ არა ერთი გარიგების ან მასთან დაკავშირებული გარიგების სერიის მეშვეობით) ემიტენტის აქტივებით, ღირებულება აღემატება 20,000,000 (ოცი მილიონი) ლარს;
- ემიტენტის წლიური ანგარიშების დამტკიცება;
- გარე აუდიტორის არჩევა და/ან თანამდებობიდან გათავისუფლება; და
- მეწარმეთა შესახებ კანონისა და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო შედგება მინიმუმ სამი წევრისგან, რომელთაგან თითოეულს ირჩევენ აქციონერთა საერთო კრებაზე აქციონერები. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს მოვალეობის შესრულებისას მოეთხოვებათ იმოქმედონ მისი ბიზნესის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭოს ვალდებულებები სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს შემდეგს:

- გენერალური დირექტორის დანიშვნა და თანამდებობიდან განთავისუფლება და მისი საქმიანობის კონტროლი;
- ემიტენტის პოლიტიკის და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტაციის დამტკიცება და შესწორება;
- ემიტენტის ანგარიშებისა და ქონების შემოწმება, პირადად ან მოწვეული ექსპერტების დახმარებით;
- ემიტენტის საქმიანობის შესახებ ანგარიშების მოთხოვნა აღმასრულებელი დირექტორისგან (მათ შორის, დაკავშირებული კომპანიების და შვილობილი კომპანიების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით და შიდა აუდიტის ან გარე ინსპექციების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადახედვა;
- საჭიროების შემთხვევაში რიგგარეშე ზოგადი შეხვედრების მოწვევა;
- წლიური ანგარიშების განხილვა და წინადადებები მოგების განაწილების შესახებ;
- წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;
- მეწარმეთა შესახებ კანონითა და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, GRPO-მ, როგორც ანგარიშგების სუბიექტმა, შექმნა აუდიტის კომიტეტი, რომელიც აკონტროლებს ემიტენტის ფინანსური ანგარიშების სიზუსტეს და უზრუნველყოფს შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობას. აუდიტის კომიტეტი შეიქმნა 2022 წლის 23 სექტემბერს, რომლის თავმჯდომარეა ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი.

6. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი

ანგარიშგების და ბიუჯეტირების დეპარტამენტი პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე. დეპარტამენტმა უნდა წარმოადგინოს არა მხოლოდ ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლების პრეზენტაცია, არამედ მისი საქმიანობის, საოპერაციო გარემოსა და სააღრიცხვო პოლიტიკის აღწერა. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მტკიცდება ფინანსური და გენერალური დირექტორების მიერ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დასამტკიცებლად წარედგინება გარე აუდიტის წარმომადგენლებს, რომლებიც ფინანსური წლის დახურვის შემდეგ ახორციელებენ GRPO-ს პროცედურების, დოკუმენტაციისა და კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლების შემოწმებას.

7. არაფინანსური მაჩვენებლები

2023 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ჯგუფში შემავალმა ქარის და ჰიდროელექტროსადგურებმა სულ 105.8 გიგავატი საათი ელექტროენერგია აწარმოა. 2023 წლის პირველი ნახევრის ელექტროენერგიის გაყიდვების დაახლოებით 63% მოდის ელექტროენერგიის შესყიდვის გრძელვადიანი ხელშეკრულებებზე (PPA) სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სუბიექტთან. 2023 და 2022 წლების პირველ ნახევარში ჯგუფის მოქმედი ჰიდროელექტრო სადგურების და ქარის ელექტროსადგურის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები მოცემულია ქვედა ცხრილში, ეს საზომი გვიჩვენებს, რამდენად ეფექტურად მუშაობს ელექტროსადგური და რამდენად ხშირად ხდება დაუგეგმავი გაჩერებები გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ხელმისაწვდომობის ფაქტორი გამოითვლება ელექტროსადგურის მუშაობის საათების გაყოფით სრულ სამუშაო დროზე, გეგმიური მოვლის გამო დახარჯული დროის გამოკლებით.

ხელმისაწვდომობის ცხრილი

	2023 წლის პირველი ნახევარი	**2022 წლის პირველი ნახევარი**
ჰიდროელექტრო სადგურები		
მესტიაჭალა 2	98.35%	99.88%
ახმეტა	99.84%	99.90%
დებედა	99.80%	99.01%
კასლეთი 2	99.46%	98.84%
ქარის ელექტროსადგური		
ქართლის ქარის ელექტროსადგური	96.22%	94.96%

8. ძირითადი რისკები და მათი მართვის მექანიზმები

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას მიეყენოს ზარალი, რადგან მისმა მომხმარებელმა, კლიენტებმა ან კონტრაგენტებმა ვერ შეასრულეს თავიანთი სახელშეკრულებო ვალდებულებები. კომპანია მართავს და აკონტროლებს მის მიერ აღებულ საკრედიტო რისკს კონტრაგენტებთან ან კონტრაგენტთა ჯგუფებთან მიმართებაში მიღებული რისკის ოდენობის ლიმიტების დაწესებით. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტ რეჟიმში და ექვემდებარება ყოველწლიურ ან უფრო ხშირ განხილვას.

2023 წლის 30 ივნისის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნია სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, რომლებიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს, გარდა:

- ფული და ფულის ეკვივალენტები: 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 113 ლარის (31 დეკემბერი 2022: 113 ლარი) ფული და ფულის ეკვივალენტები ინახებოდა ქართულ ბანკში, რომელსაც აქვს BB− რეიტინგი;

ფული და ფულის ეკვივალენტები და გაცემული სესხები არ არის გაუფასურებული. ფულის და ფულის ეკვივალენტების მიმართ, მათი მაღალი ლიკვიდობის და მოკლევადიანი ხასიათის გამო, კომპანიამ შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არამატერიალურად შეაფასა. შესაბამისად, ფასს 9-ით არ არის აღიარებული გაუფასურება ფულის და ფულის ეკვივალენტებისთვის და გაცემული სესხებისთვის. ყველა ფინანსური აქტივის საკრედიტო ხარისხი მუდმივად მონიტორინგდება საკრედიტო ხარისხში რაიმე პოტენციური უარყოფითი ცვლილების გამოსავლენად. არ არსებობს ფინანსური აქტივები, რომლებსაც ჰქონდათ ხელახლა მოლაპარაკებული პირობები, რომლებიც სხვაგვარად, ამ ხელახალი მოლაპარაკების გარეშე, იყო ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება გადახდის ვალდებულებების შესრულება, როდესაც გადახდის დრო დადგება ჩვეულებრივ ან სტრესულ ვითარებებში. ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აკონტროლებს კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის მცოცავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსირების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებს და გამოშვებულ ობლიგაციას.

ლიკვიდობის რისკის მართვისას კომპანიის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ კომპანია შეძლებს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვას მწვანე ობლიგაციასა და სხვა ნასესხებ სახსრებზე მომავალი კუპონური და საპროცენტო გადახდების განხორციელებით ოპერაციებიდან შემოსული ფულადი სახსრების გამოყენებით.

სავალუტო რისკი

ეროვნული ვალუტის, ლარის კურსის მერყეობამ აშშ დოლართან/ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების სხვა ვალუტებთან მიმართებაში შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის საქმიანობაზე. მისი საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე, ჯგუფს აქვს ერთგვარი ბუნებრივი დაცვა სავალუტო რისკებისგან, რაც დაკავშირებულია სასესხო ვალდებულებებთან, რადგან მისი შემოსავლები, ისევე როგორც მისი სასესხო ვალდებულებები, ძირითადად დენომინირებულია აშშ დოლარში. ამავდროულად, ჯგუფის შემოსავალი მისი ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებით (“PPA”) არის დენომინირებული აშშ დოლარში. გარდა ამისა, მესამე პირებზე გაყიდვები ღია ბაზარზე, როგორც წესი, ხორციელდება აშშ დოლარში და არა ქართულ ლარში. ეს ეფექტიანად უზრუნველყოფს ჯგუფის ჰეჯირებას ლარის გაუფასურებისგან, რაც განსაკუთრებით ღირებულია აშშ დოლარი/ლარის კურსის რყევების გათვალისწინებით. გარდა ამისა, მესამე პირზე გაყიდვა ღია ბაზარზე დენომინირებულია აშშ დოლარში ან დაკავშირებულია ESCO-ს საბალანსო ფასთან, რომელიც დამოკიდებულია იმპორტზე დენომინირებულ აშშ დოლარში და PPA ფასებზე. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილობრივი ტრანზაქციები იდება ლარში, თუმცა ყველა ხელშეკრულება პირდაპირ თუ ირიბად დენომინირებულია აშშ დოლარში. რამდენადაც საპროცენტო ვალდებულებები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, კერძოდ აშშ დოლარში, ფინანსური ხარჯებიც არის აშშ დოლარში.

ბაზრის რისკები

ჯგუფი ელექტროენერგიას ძირითადად ყიდის ESCO-ს ელექტროენერგიის შესყიდვის გრძელვადიანი ხელშეკრულებების (“PPA”) თვალსაზრისით, მაგრამ თვეებში, რომლებსაც PPA არ ფარავს, ჯგუფი იღებს საბაზრო რისკებს, რაც შეიძლება გამოიხატოს ორ ქვერისკში, რომლებიც არის 1) offtaker პოვნის რისკი 2) საბაზრო ფასის რისკი.

არა PPA პერიოდში, ელექტროსადგურებს შეუძლიათ მიყიდონ ელექტროენერგია ორმხრივი ხელშეკრულებით ნებისმიერ მიმღებს ან მიჰყიდონ ESCO-ს, როგორც საბალანსო ელექტროენერგია. DAM-ისა და შიდადღიური ბაზრის („IDM“) ექსპლუატაციის დაწყების შემდეგ, ელექტროსადგურებს ექნებათ ელექტროენერგიის გაყიდვის ორი დამატებითი არხი და თითქმის სრულად იქნება აღმოფხვრილი რისკები. ამჟამად, თუ ელექტროსადგურს არც PPA აქვს და არც ორმხრივი შეთანხმება, მოქმედი ბაზრის წესების მიხედვით, ESCO უხდის მათ ყველაზე დაბალ რეგულირებულ ჰესების ფასს ზაფხულის თვეებში (მაისიდან აგვისტომდე) ან TEC-ის ყველაზე მაღალ ფასს ზამთრის თვეებში (სექტემბრიდან აპრილამდე). ენგურჰესს აქვს ყველაზე დაბალი რეგულირებადი ფასი 1.857 თეთრი/კვტ.სთ 2021-23 წლებისთვის განსაზღვრული - ორმხრივი ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში ეს იქნება ესკო-ს ანგარიშსწორების ფასი. ბოლო წლების დეფიციტის გათვალისწინებით, ჯგუფი ყოველთვის ახერხებდა ელექტროენერგიის გაყიდვას პირდაპირი ხელშეკრულების მიხედვით როდესაც ესკო-სთვის მიყიდვა 0,1%-ზე ნაკლები იყო. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ბაზრებზე მოცულობებით ვაჭრობა მარტივია DAM-ისა და IDM-ის ამოქმედების შემდეგ. DAM-ისა და IDM-ის ამოქმედება არ იმოქმედებს ESCO-სთან დადებულ PPA - ტარიფებზე, გადახდის სხვა პირობები და ხელშეკრულების ვადა იგივე დარჩება.

ელექტროენერგიის გამომუშავების, განაწილებისა და მიწოდების შესაძლებლობა დამოკიდებულია საქართველოს გადამცემ სისტემაზე. ელექტროენერგიის განაწილება ჯგუფის სადისტრიბუციო ქსელებზე, ისევე როგორც ელექტროენერგიის განაწილება აბონენტებზე, დამოკიდებულია საქართველოს გადამცემი სისტემების ინფრასტრუქტურაზე. ჯგუფს არ აქვს კონტროლი გადამცემი სისტემის მუშაობაზე და იგი მთლიანად დამოკიდებულია სისტემის ოპერატორზე, რომელიც არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სუბიექტი. საქართველოს გადამცემი სისტემის ნებისმიერმა გაუმართაობამ, მათ შორის ბუნებრივი კატასტროფების, არასაკმარისი ტექნიკური მომსახურების ან არაადეკვატური განვითარების შედეგად, შეიძლება ხელი შეუშალოს ჯგუფს ელექტროენერგიის საბოლოო მომხმარებლისთვის განაწილებაში. შედეგად, გადაცემის სისტემაში ნებისმიერმა წარუმატებლობამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის საქმიანობაზე, ოპერაციების შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ნორმალურ ბიზნეს პირობებში ჯგუფს აქვს იმის რისკი, რომ ქვეყანაში ელექტროენერგიაზე მოთხოვნა შემცირდეს რაც, შესაბამისად იმოქმედებს საბაზრო ფასებზე. ელექტროენერგიაზე მოთხოვნას ძირითადად საქართველოში ეკონომიკური აქტივობის დონე განაპირობებს.

გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონები

ჯგუფი ექვემდებარება სხვადასხვა გარემოსდაცვითი და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონებს და რეგულაციებს, რომლებიც არეგულირებენ, სხვა საკითხებთან ერთად, ჯგუფის ოპერაციებით გამოწვეულ დაბინძურებას და ჯგუფის თანამშრომლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. ჯგუფი ასევე ვალდებულია მიიღოს გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნებართვები სხვადასხვა სამთავრობო უწყებებისგან თავისი საქმიანობისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ გარემოსდაცვითი კანონები და რეგულაციები მზარდ გავლენას ახდენენ ჯგუფის საქმიანობაზე, შეუძლებელია ზუსტად წინასწარ განვჭვრიტოთ ასეთი კანონებისა და რეგულაციების გავლენა ჯგუფის საქმიანობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფმა დაგეგმა მომავალი კაპიტალური და საოპერაციო ხარჯები გარემოსდაცვითი და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმდინარე კანონების შესასრულებლად, შესაძლებელია, რომ რომელიმე ეს კანონი შეიცვალოს, გახდეს უფრო მკაცრი მომავალში ან ახალი კანონები მიიღონ. ნებისმიერ ზემოაღნიშნულს შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი გავლენა ჯგუფის საქმიანობაზე, ოპერაციების შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

9. კორპორატიული და სოციალური პასუხისმგებლობა

GRPO კარგად აცნობიერებს თავის კორპორატიულ პასუხისმგებლობას და თვლის, რომ შეუძლია წვლილი შეიტანოს საზოგადოების მდგრად განვითარებაში. GRPO განიხილავს ძირითად დაინტერესებულ მხარეებს (მომხმარებლებს, აქციონერებს, თანამშრომლებს, კრედიტორებს), რათა შეიმუშაონ ბიზნეს სტრატეგიები და გააუმჯობესონ ოპერაციები.

სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში GRPO რეგულარულად ახორციელებს სრულ გარემოსა და სოციალურ მონიტორინგს; აცნობებს სოციალურ პრობლემებს და იღებს მაკორექტირებელ ქმედებებს. კომპანია თანამშრომლობს ცენტრალურ და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მხარს უჭერს და GRPO ფუნქციონირების არეალში აფინანსებს კულტურულ, საგანმანათლებლო და სპორტულ აქტივობებს.

GRPO ექვემდებარება სხვადასხვა გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონებს და რეგულაციებს, რომლებიც არეგულირებს, სხვა საკითხებთან ერთად, GRPO-ს ოპერაციებით გამოწვეულ დაბინძურებას და GRPO-ს თანამშრომლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. GRPO ასევე ვალდებულია მიიღოს გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნებართვები სხვადასხვა სამთავრობო უწყებებისგან თავისი საქმიანობისთვის.

GRPO-მ დაადგინა გარემოსდაცვითი სტანდარტები, რომლებიც ვრცელდება მის საქმიანობაზე. GRPO ყველა მატერიალური თვალსაზრისით აკმაყოფილებს საქართველოს ყველა მოქმედ გარემოსდაცვით, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესებს. თუ GRPO არ შეესაბამება ამ რეგულაციებს, ის შეიძლება იყოს პასუხისმგებელი სანქციებზე და/ან სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის შედეგებზე.

10. ადამიანის უფლებების დაცვა

ჯგუფში დაცულია ადამიანის ძირითადი უფლებები, მათ შორის შრომითი უფლებები. აღნიშნული უფლებების შესახებ განმარტებებს ვრცელი ადგილი ეთმობა შვილობილი კომპანიების შრომის დებულებებს, რომლებიც შრომის კოდექსთან ერთად ხელმისაწვდომია კომპანიების ყველა თანამშრომლისთვის.

ჯგუფი სთავაზობს თანაბარი დასაქმების შესაძლებლობებს ყველა კანდიდატს, განურჩევლად რასისა, რელიგიისა, სქესის, ეროვნებისა, ასაკისა და ა.შ. ეს პოლიტიკა ვრცელდება დასაქმების ყველა სიტუაციაზე, მათ შორის: დაქირავება, დაწინაურება, კონტრაქტის გაფორმება, კომპენსაცია, ტრენინგი და სხვა დასაქმების კანონის შესაბამისი ქმედებები.

11. კორუფცია

GRPO თავის ბიზნეს საქმიანობას წარმართავს ეთიკური პრინციპების დაცვით, ასევე მოქმედი შიდა და საერთაშორისო ანტიკორუფციული მოთხოვნებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფის მექრთამეობისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობასა და რეგულაციას და საერთაშორისო სტანდარტებს.

GRPO-ს მექრთამეობისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა კრძალავს ნებისმიერი პირისთვის რაიმე ღირებული სარგებლის გადაცემას ან შეთავაზებას, ისევე როგორც კორუფციული მოტივის მქონე ნებისმიერი პირისგან ნებისმიერი სარგებლის მიღებას ან წახალისებას, როგორიცაა დაუმსახურებელი ჯილდოს ან საჯარო მოხელის კეთილგანწყობის გამოყენება ან კერძო პირისთვის უკანონო საქმიანი უპირატესობის მოპოვება.

12. პერსონალის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

GRPO დიდ ყურადღებას უთმობს პერსონალის ტრენინგებს და კვალიფიკაციის ამაღლებას. ეს ტრენინგები მოიცავს არა მხოლოდ მათ დარგთან დაკავშირებულ და ტექნიკურ, არამედ ქროსსეგმენტურ და HS&E-სთან დაკავშირებულ კვალიფიკაციას. ამ ტრენინგების შედეგად თანამშრომლებს შეუძლიათ გაიღრმავონ დარგობრივი ცოდნა და გააფართოვონ სოციალური და გარემოსდაცვითი ხედვა. კვალიფიციურ და კარგად შესრულებულ თანამშრომლებს ეძლევათ საშუალება განვითარდნენ და დაწინაურდნენ კომპანიაში. თანამშრომლების მომზადებით GRPO ქმნის პროფესიონალებს, რომელთა დახმარებითაც გეგმავს სხვადასხვა პროექტების განხორციელებას.

13. ზრუნვა თანამშრომლების უსაფრთხოებაზე

ხშირად ტარდება ტრენინგები, თუ როგორ უნდა შევინარჩუნოთ უსაფრთხო სამუშაო გარემო. თანამშრომლების, კონტრაქტორების, ვიზიტორებისა და ნებისმიერი სხვა დაინტერესებული მხარის უსაფრთხოების დასაცავად, GRPO ნერგავს სტანდარტებს, რომლებიც გათვალისწინებულია შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შეთანხმებულ პოლიტიკაში. კომპანია ატარებს უსაფრთხოების ყოველთვიურ ანგარიშგებას და ატარებს სხვადასხვა სახის საფრთხის ანალიზს. ყველა ინციდენტი და დაზიანება გამოკვლეულია და დადგენილია მაკორექტირებელი ქმედებები პასუხისმგებელ მხარეთა სრული ჩართულობით.

14. სტრატეგიები და სამომავლო განვითარება

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი („GRPH“ ან „მშობელი“) გეგმავს საშუალოვადიან პერსპექტივაში 172 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგურების აშენებას: ზოტი ჰესი (46 მეგავატი), თბილისისა და კასპის ელექტროსადგურები (108 მეგავატი) და დარჩი ჰესი (18 მეგავატი). ჯგუფი მიზნად ისახავს განახლებადი ენერგიის პლატფორმის შექმნას დოლართან დაკავშირებული მზარდი ფულადი ნაკადებით და მომგებიანობით.

ჯგუფი არ იყო ჩართული კვლევისა და განვითარების (R&D) საქმიანობაში 2023 წლის პირველ ნახევარში და 2022 წელს.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ სახელით 2023 წლის 15 აგვისტოს:

ზურაბ გორდეზიანი
გენერალური დირექტორი

GEORGIAN
RENEWABLE
POWER OPERATIONS

N 046
15 / 08 / 2023

2023 წლის 15 აგვისტო

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“
პასუხისმგებელი პირების განცხადება

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 11.6(გ) მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ 2022 წლის 12 ოქტომბერს სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404642892; შემდგომში „**ემიტენტი**“) მიერ 80 (ოთხმოცი) მილიონი აშშ დოლარის ოდენობის მწვანე უზრუნველყოფილი ობლიგაციების (საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი (ISIN): GE2700604186; სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: GE 2700604186-01) საჯარო ემისიასთან დაკავშირებით „ემიტენტის“ არსებული ვალდებულებების ფარგლებში მომზადებული არააუდირებული ნახევარწლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს „ემიტენტისა“ და ყველა შესაბამისი შვილობილი საწარმოს აქტივებს, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობასა და მოგება-ზარალს; ასევე, მმართველობის ანგარიშგება სამართლიანად და ამომწურავად მიმოიხილავს „ემიტენტისა“ და ყველა შესაბამისი შვილობილი საწარმოს საქმიანობის განვითარებას, შედეგებს, მდგომარეობასა და არსებულ ძირითად რისკებს.

ზურაბ გორდეზიანი

სს „საქართველოს განახლებადი
ენერგიის ოპერაციების“
გენერალური დირექტორი

ავთანდილ ნამიჩეიშვილი

სს „საქართველოს განახლებადი
ენერგიის ოპერაციების“
სამეთვალყურეო საბჭოს
თავმჯდომარე